

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის N114/13¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

გვანცა მაისურაძე (სტუდენტი)

1. საქმის ფაქტები:

სასამართლო პროცესის დასასრულს, ადვოკატმა მოწინააღმდეგე მხარის შეურაცხმყოფელი განცხადების საპასუხოდ მას საჯაროდ უწოდა ნარკომანი და მიმართა შემდეგი სიტყვებით: „როდესაც ნარკოტიკის გაკეთებას დავიწყებ, მოვალ და ნარკოტიკს შენგან ვიყიდი“.

2. პროცესუალური ისტორია:

ეთიკის კომისიამ ადვოკატის წინააღმდეგ დაიწყო დისციპლინური დევნა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 5 (გ) მუხლისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილის შესაძლო დარღვევის გამო.

3. სამართლებრივი შეფასება:

ადვოკატის სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება სასამართლო დარბაზში დაცულია საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი ნაწილისა და 24-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით. თუმცა იგი ექვემდებარება ამავე მუხლებით დადგენილი უფლების შეზღუდვის საფუძვლებს. საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის მესამე ნაწილისა და 24-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად სიტყვისა და გამოხატვის უფლება შეიძლება შეიზღუდოს, ხელისუფლებისა და მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე.

ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატის მიერ გამოთქმული სიტყვიერი შეურაცხყოფა საჩივრის ავტორისადმი ეწინააღმდეგება პროფესიული ეთიკის ნორმებს. ადვოკატმა ნებისმიერ ვითარებაში უნდა შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, გამოიჩინოს მოთმინება და პატივი სცეს თავის საქმიანობას, არ უნდა მოიქცეს იმგვარად, რაც შეუფერებელია ადვოკატის თავისუფალი პროფესიის სტატუსისათვის. ადვოკატი უნდა შეეცადოს თავი აარიდოს იმგვარ ქმედებასა და გამონათქვამებს, რაც არ შეესატყვისება ადვოკატის მაღალ როლს საზოგადოებაში და ხელს შეუშლის ამ პროფესიისადმი საზოგადოებრივი ნდობის მოპოვებას. ადვოკატს, როგორც მართლმსაჯულებაში მონაწილე პირს, ქცევის მაღალი სტანდარტი მოეთხოვება, განსხვავებით სხვა პირებისაგან.

ეთიკის კომისიამ არ გაიზიარა ადვოკატის არგუმენტაცია, რომ მან აღნიშნული განცხადება გააკეთა მხოლოდ მას შემდეგ, რაც პროცესუალურმა მოწინააღმდეგემ მის მიმართ აგრესია გამოხატა და შეურაცხმყოფელად მოიხსენია. პროცესის მონაწილე პირის მიერ ადვოკატისადმი გამოხატული აგრესია და შეურაცხმყოფელი ეპითეტის გამოყენება, არ აძლევს ადვოკატს უფლებას ასევე შეურაცხმყოფელი განცხადებით მოახდინოს აღნიშნულზე რეაგირება.

ადვოკატს თავისუფალი პროფესიის მიუხედავად, აკისრია გარკვეული თმენის ვალდებულება. ადვოკატი, ისევე, როგორც სხვა ნებისმიერი პირი სარგებლობს გამოხატვის თავისუფლებით, თუმცა იგი შეზღუდულია პროფესიული ვალდებულებებით. ადვოკატის მიერ ამ უფლების რეალიზაციით

¹ <https://gba.ge/pdf/5c484af833479.pdf/5c484af833479.pdf?fbclid=IwAR3bK86DVYR9TTzUR2JyCX1xEVEdFbruko-4f8zbxHNRA4Fy5jvLL1A8s>

არ უნდა შეილახოს სხვა პირების უფლებები. ადვოკატმა თავი უნდა შეიკავოს შეურაცხმყოფელი და პატივისა და ღირსების შემლახავი ქმედებისა და გამონათქვამების გაკეთებისაგან. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატის მიერ გაკეთებული განცხადება არ ექცევა გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში და შესაბამისად, იგი არ სარგებლობს სამართლებრივი დაცვით.

ამავდროულად ადვოკატს ეკისრება ვალდებულება, რომ ის საკითხები, რომლებიც პირის პირად ცხოვრებას ეხება და კავშირში არ არის საქმესთან, არ უნდა გახდეს მის მიერ მართლმსაჯულებისა და მხარისათვის შეურაცხყოფის მიყენების საფუძველი. მოცემულ შემთხვევაში მხარის ნარკოდამოკიდებულებას არავითარი კავშირი არ ჰქონდა მიმდინარე დავასთან და ადვოკატს შეეძლო თავისი კლიენტის ინტერესები სხვა, კანონიერი გზით დაეცვა.

4. დასკვნა:

ეთიკის კომისიამ დაასკვნა, რომ ადვოკატის მიერ დარღვეულია ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ პუნქტი და მე-9 მუხლის 1-ლი ნაწილი, კერძოდ პროცესის მონაწილესთან ურთიერთობის წესები. ადვოკატს პასუხისმგებლობის ფორმად განესაზღვრა გაფრთხილება.